



განმარტებითი ბარათი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ როლი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტში

2010 წლის 13 აგვისტო

რეზიუმე

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოთხოვნით იმ ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ცალ-ცალკე), რომლებიც დევნილთა საკითხებზე მუშაობენ, თითო წარმომადგენელი უნდა შეარჩიონ დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად. კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ კომიტეტის სხდომათა მუშაობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში მონაწილეობდა ფორმალური წარდგინების პროცესის გარეშე.

ეს განმარტებითი დოკუმენტი მიზნად ისახავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარდგინებას, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტის წევრობის უფლების აღსადგენად. წარდგინებაში ძირითადად ქ. თბილისში დევნილთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას.

აღნიშნული დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ამ კომიტეტში მონაწილეობის ისტორიასა და მის გაგვლენას დევნილთა პოლიტიკაზე. დოკუმენტი განმარტავს, თუ რატომ აღარ არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ კომიტეტის წევრი და წარდგინების შემთხვევაში, აღწერს მის როლს მომავალში ამ ფორუმში მონაწილეობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება გახდეს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტის წევრი, იმ შემთხვევაში, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ჩათვლიან, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არ არის შესაფერისი ორგანიზაცია ამ წარდგინებისთვის.



ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტი იკრიბება დაახლოებით ორ თვეში ერთხელ და შედგება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან, დონორი ორგანიზაციების, გაეროს და დევნილთა საკითხებზე მომუშავე სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისაგან (მუნიციპალური განვითარების ფონდი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და დევნილთა საჭიროებებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები). კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქვეყანაში დევნილთა საკითხებზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების კოორდინაცია. კომიტეტი პირველად 2009 წლის მარტში შეიკრიბა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ კომიტეტის სამდივნოს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ფორუმში მონაწილეობის უფლება აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების თითო წარმომადგენელს. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ განუსაზღვრავს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა შერჩევის პროცესი. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიიღება თავად ამ ჯგუფების მიერ უნდა მოხდეს. თითოეულ ჯგუფს შეუძლია ასევე გადაწყვიტოს, რომ მათი წარმომადგენლები მონაცვლეობით დაესწრებიან კომიტეტის სხდომებს, რაც გულისხმობს ყოველ ორ თვეში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დასწრებას სხდომებზე. მართალია, მხოლოდ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა უფლებამოსილი კომიტეტის ყოველ სხდომაზე დასწრებაზე, თუმცა კომიტეტის წევრებს შეუძლიათ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიწვევაც სხდომებზე დასასწრებად, იმ შემთხვევაში თუ მათ თავისი მუშაობის შესახებ პრეზენტაციის წარდგენა სურთ ან თუ მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია/ექსპერტიზა განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

დევნილთა მართვის კომიტეტი შედგება ორი სტრუქტურისაგან, რომელთა მეშვეობითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაერთონ დევნილთა პოლიტიკის განვითარებასა და დანერგვაში. პირველი ასეთი სტრუქტურა არის **არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო შეხვედრა** – ახალი მექანიზმი, რომელიც 2010 წლის ივნისში შეიქმნა და რომლის მეშვეობითაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აწვდის არასამთავრობო ორგანიზაციებს ინფორმაციას კომიტეტის ძირითად საქმიანობებზე, უახლეს გადაწყვეტილებებსა და სამომავლო გეგმებზე. ეს ფორმატი არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს პირდაპირ დაუსვან კითხვები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. მეორე მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არასამთავრობო ორგანიზაციები კომიტეტის მუშაობაში იღებენ მონაწილეობას არის **დროებითი ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფები**, რომლებიც,



როგორც წესი, იქმნება კომიტეტის მიერ დევნილთა პოლიტიკის დაგეგმვის ირგვლივ კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრები უკვე შედგა სხვადასხვა საკითხზე და ისინი დაწვრილებით ასახავენ გაეროს ჯგუფური მიდგომის მიხედვით შემუშავებულ იმ კატეგორიებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა 2008 წლის შემოდგომაზე ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაცია. ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფები მუშაობენ რეაბილიტაციის სტანდარტების შემუშავებაზე, ახალი სახლების შერჩევის კრიტერიუმებზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის განვითარებასა და ასევე, სხვა ამოცანებთან ერთად, დევნილთათვის სარგებლის მიღების შესახებ საინფორმაციო ბროშურაზე. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრებოდა ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრებს. მართალია, ეს ჯგუფები თავდაპირველად გარკვეული დარგების მოწვეულ ექსპერტთა პატარა ჯგუფებისთვის შეიქმნა (მაგ: მშენებლობის ტექნიკური ექსპერტები რეაბილიტაციის სტანდარტების შესამუშავებლად), მაგრამ მათში ხშირად მონაწილეობდნენ კონკრეტული დარგის არ მცოდნენი, რომლებიც საბოლოო ჯამში ანელებდნენ მუშაობის ტემპსა და მის ეფექტურობას. ბოლომდე ნათელი არ არის, თუ როგორ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ან ექსპერტთა მიწვევა ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფებში. ამ ჯგუფების შემადგენლობა დგინდება მართვის კომიტეტის სხდომებზე, რომელიც ახლახანს დაიხურა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის წარდგინების პროცესის არარსებობის გამო. აღმოჩნდა, რომ დროებითი ჯგუფების შექმნა ზოგჯერ კომიტეტის წევრებს შორის სხდომების შემდგომ გამართულ კერძო კორესპონდენციის დროსაც ხდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონაწილეობა დევნილთა პოლიტიკის შემუშავებაში

2009 წლის ბოლოს და 2010 წლის დასაწყისში დევნილთა განსახლების ახალი პოლიტიკის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობისთვის, ასევე დონორების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. 2009 წლის 15 აპრილს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააკეთა საჯარო განცხადება,¹ რომლითაც მოუწოდებდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გაეხანგრძლივებინა დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტზე კონსულტაციის პროცესი. ამან დასაბამი მისცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შორის დიალოგის დაწყებას, რასაც მოჰყვა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიწვევა ახლად შექმნილ დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ შეხვედრებს 2009 წლის 30

¹ იხილეთ განცხადების ტექსტი ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:
<<http://www.transparency.ge/en/post/press-release/ti-georgia-welcomes-governments-decision-consult-idp-housing-calls-deadline-extend>>



აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე ესწრებოდა.² თუმცა არ არსებობდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლის შერჩევის ფორმალური პროცესი და ნათლად არ იყო განსაზღვრული მისი როლი სხვა ტიპის წევრების მიმართ (დონორები, გაეროს ორგანოები და სამთავრობო უწყებები). საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების არც ერთი წარმომადგენელი არასდროს დასწრებია კომიტეტის სხდომებს, თუმცა ისინი მიწვეული იყვნენ ამ სხდომებზე. ზოგჯერ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ შეცდომით აღიქმებოდა, როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი.

თავდაპირველად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მართვის კომიტეტში მონაწილეობას იღებდა, როგორც გატარებული პოლიტიკის პროცესის მონიტორი. მაგრამ არც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და არც გაეროს ორგანოების მიერ არ ყოფილა ნათლად განსაზღვრული არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მართვის კომიტეტში. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ბუნდოვანება ასახულია კომიტეტის 2009 წლის მარტის პირველი სხდომის ოქმში. ოქმის მიხედვით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციები მართვის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როდესაც ამის საჭიროება იქნება. სხვა შემთხვევაში კომიტეტის შემადგენლობა დარჩება იგივე [მთავრობა, დონორები და გაეროს ორგანოები]“. თუმცა, დეტალურ ოქმში, ასევე აღნიშნულია, რომ ამ საკითხის ირგვლივ ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობდა მონაწილეთა შორის. მინისტრმა სუბელიანმა ორი წინადადება წარმოადგინა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების ორი წარმომადგენელი შეუერთდება კომიტეტს. იმის გათვალისწინებით, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვებიან კომიტეტის მუშაობაში, ასევე შესაძლებელია სხვა მექანიზმის შემოღებაც. თუ კომიტეტის წევრები დაეთანხმებიან, მონიტორინგის მიზნით შეიძლება თითო-თითო ადგილის მიცემა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის“. შემდგომ დისკუსიაში, ოქმის მიხედვით, „სუბელიანმა განაცხადა, რომ მონაწილეებს შეუძლიათ შეადგინონ იმ ორგანიზაციათა სია, რომლებიც მათი აზრით მიწვეული იქნებიან როგორც მუდმივად, ისე დროებით. მანვე აღნიშნა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ორმხრივი შეხვედრები ჰქონდა ყველა მონაწილე ორგანიზაციასთან, და ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. მისი ოქმით, შეხვედრების ასეთი ფორმატი შექმნის უკეთეს შესაძლებლობებს ინფორმაციის გაზიარებისათვის – თუ რა იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ“. არსებული კონცეფციები მართვის კომიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობასა და მათ როლზე კვლავაც აქტუალურია. სხდომის ოქმი ასევე ასახავს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ერთ-ერთი სავარაუდო როლის

² კ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დაესწრო მართვის კომიტეტის შვიდ სხდომას. ესენია: 2009 წლის 30 აპრილის, 18 ივნისის, 17 სექტემბერის, 15 ოქტომბერის, 1 დეკემბერის, 2010 წლის 19 თებერვალს და 1 აპრილის სხდომები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არ დასწრებია პირველ შეხვედრას 2009 წლის მარტში და არც ბოლო ორ შეხვედრას 2010 წლის ივნისსა და ივლისში.



მინიჭების შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გამტარის ფუნქციას მართვის კომიტეტსა და სხვა მსგავს ორგანიზაციებს შორის.

კომიტეტში მონაწილეობის პერიოდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ თავისი წვლილი შეიტანა დევნილთა შესახებ ახალი სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ეს უკანასკნელი 2009 წლის მაისში დამტკიცდა. კერძოდ, ამ ორივე დოკუმენტზე მუშაობისას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობით, ცდილობდა უზრუნველყო მთავრობის მხრიდან ვალდებულებების შესრულება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დევნილთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. ამ ვალდებულებებს შორის იყო მშენებლობისა და გადასახლების სტანდარტების შემდგომი შემუშავება დევნილების მიერ „ინფორმირებული არჩევანის“ გაკეთება გრძელვადიანი განსახლებისას, და ა.შ. ამან საფუძველი მისცა მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას ახალი პოლიტიკის დანერგვის დროს. ეს მიღწევა მოხერხდა სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ასევე მონაწილეობა მიიღო ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრებში სამართლებრივ, დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე. ეს დროებითი სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა მართვის კომიტეტის მიერ კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად, კერძოდ დევნილთა საკითხებზე საინფორმაციო კამპანიის შემუშავების მიზნით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასევე დევნილთათვის დახმარების მიღების შესახებ საინფორმაციო ბროშურის შემუშავებაში, სადაც აქცენტი გაკეთდა ადვილად აღქმადი ენის გამოყენებაზე, რათა რთული სამართლებრივი საკითხები ნათელი გამხდარიყო ბენეფიციარებისათვის. დამოუკიდებლად, ჩვენ ასევე დავაყენეთ საკითხი დევნილთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობაზე, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია მთავრობის წარუმატებლობასთან ნათლად მიეწოდებინა ინფორმაცია კოტეჯების დასახლებაში მცხოვრები დევნილებისათვის იმ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც მოხდა ელექტროენერჯისა და გაზის მოხმარების ტარიფების სრულიდან ნაწილობრივ სუბსიდირებაზე გადასვლა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შესძლო კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმატში მოექცია მთავრობასთან ურთიერთობა და დასაბამი მიეცა უფრო არსებითი დებატებისათვის. ამას ხელი შეუწყო იმ საქმიანობამ, რასაც ორგანიზაცია ახორციელებს – საფუძვლიანი კვლევა და ადვოკატირება. მაგალითად, დევნილთა ახალი დასახლებისათვის დახმარებისა და მშენებლობის ანგარიშვალდებულების ანგარიშის პრეზენტაციაზე, რომელიც 2010 წლის აპრილში ჩატარდა, წარმომადგენლები ესწრებოდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ისინი სამოქალაქო საზოგადოებას ერთ



საათზე მეტი ხნის განმავლობაში ახალი დასახლებების მშენებლობის გადაწყვეტილების თაობაზე ესაუბრებოდნენ. ეს იყო ამ საკითხის საჯარო განხილვის პირველი შემთხვევა, სადაც მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დებატები ერთმანეთისადმი მთელი რიგი ბრალდებების წაყენების გარეშე მიმდინარეობდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმედოვნებს, რომ საფუძვლიანი კვლევის საშუალებით კვლავაც გააგრძელებს დევნილთა პოლიტიკის შესახებ საჯარო დებატების ფასილიტატორის როლის შესრულებას.

მართვის კომიტეტში მიმდინარე უახლესი ცვლილებები

2010 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეიტყო, რომ მართვის კომიტეტის შემადგენლობა შემცირდა და არასამთავრობო ორგანიზაციები აღარ იქნებიან მიწვეულნი სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ამ ცვლილების შესახებ ოფიციალურად არ მიუწოდებია ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის“. თუმცა, მას შემდეგ ჩატარდა მართვის კომიტეტის კიდევ ორი შეხვედრა, რომელზეც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიწვეული არ ყოფილა.³ მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების მხრიდან უფრო აქტიურ მონაწილეობას საჭიროებს. მათ შორის დევნილთა „პირველი ნაკადის“ ახლადშენებულ ან გარემონტებულ გრძელვადიან თავშესაფრებში განსახლების კრიტერიუმების შემუშავების საკითხი. ცნობილია, რომ მართვის კომიტეტი ასევე განიხილავს დევნილთა გამოსახლების მიმდინარე ტალღასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ამ პროცესში რაიმე სახის ჩართულობის გარეშე. ეს მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ სწრაფი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მართვის კომიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლის შერჩევასთან დაკავშირებით. კომიტეტის შემდგომი სხდომა სავარაუდოდ სექტემბერში გაიმართება.

მართვის კომიტეტის შემადგენლობის შემცირების არგუმენტად რამდენიმე მიზეზი დასახელდა: ის იყო ძალიან დიდი და ხელს უშლიდა არსებითი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას, რადგან სხდომებს ესწრებოდა ძალიან ბევრი ორგანიზაცია და ხდებოდა განსახილველი საკითხებიდან ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა. როგორც ჩანს, ეს ასევე ხელს უშლიდა დონორებსა და მთავრობას, რომ ღიად ესაუბრათ დაფინანსებასა და ახალი პოლიტიკის ინიციატივებზე, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციები არასამართლიან ხელმისაწვდომობას

³ 2010 წლის გაზაფხულზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო შეხვედრა გამართა, სადაც წარმოადგინა მართვის კომიტეტის წინა სხდომაზე დამტკიცებული ინფორმაცია ეს იყო მისასაღებელი ცვლილება, რომელიც წარმოაჩენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ვალდებულებას სამოქალაქო საზოგადოებასთან ინფორმაციის გაცვლის გაზრდასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მართვის კომიტეტის უკანასკნელი ორი შეხვედრის შემდეგ არ ჩატარებულა მსგავსი საკოორდინაციო შეხვედრა.



მოიპოვებდნენ დონორების მიერ განსახორციელებელ შესყიდვებზე დევნილთა სახლების მშენებლობასა და რემონტთან დაკავშირებით. ორივე ზემოთხსენებული მიზეზი მნიშვნელოვანი არგუმენტებია. თუმცა, ეს არ ამართლებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა სრულ გამოთიშვას მართვის კომიტეტის მუშაობიდან.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან კომუნიკაციის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გაარკვია, რომ მართვის კომიტეტი ნებას დართავს ჩვენს ან სხვა „შერჩეულ“ არასამთავრობო ორგანიზაციას, რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა სხდომებში, თუ სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მხარს დაუჭერენ ამ კონკრეტულ ორგანიზაციას ამ ძალისხმევაში.⁴

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ როლი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიერ მართვის კომიტეტში მონაწილეობის უკანასკნელი წლის განმავლობაში, არ ყოფილა რაიმე სახის ნათელი განმარტება ამ ორგანიზაციის მიზანსა და როლზე კომიტეტში. მართვის კომიტეტში ადგილისთვის საჭირო ფორმალური წარდგინების მოთხოვნა კარგი შესაძლებლობაა ამ საკითხის ნათლად განსაზღვრისათვის.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბევრ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას პირდაპირი კავშირი აქვთ დევნილებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დევნილებს პირდაპირ არ სთავაზობს თავის მომსახურებას და მათთან არც ყოველდღიური კონტაქტი აქვს. ამრიგად, ჩვენ არ გვაქვს კავშირი იმ ხალხთან, რომლებზეც ახალ პოლიტიკას ყველაზე პირდაპირი გავლენა აქვს. მართალია, ერთი მხრივ, ეს შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დაბრკოლება მართვის კომიტეტში ჩვენი პოტენციური ჩართულობისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არ ვართ ნამდვილი „ექსპერტები“ დევნილთა საკითხებში, თუმცა, მეორეს მხრივ, ამ დისტანციას ასევე აქვს თავისი დადებითი მხარეც ინტერესთა კონფლიქტის რისკის შემცირების კუთხით ერთი მიზეზი, რომელიც არაფორმალურად დასახელდა კომიტეტის ბოლო ორი სხდომიდან არასამთავრობო ორგანიზაციების გამოთიშვის გასამართლებელ საბუთად. რადგან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არ არის ჩართული დევნილთათვის მომსახურებით უზრუნველყოფაში, არსებობს უფრო ნაკლები რისკი დონორთა შესყიდვების პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება

⁴ მაშინ როცა რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო რეგულარული მონაწილეობა მართვის კომიტეტის სხდომებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იყო ერთადერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამას აკეთებდა რეგულარულად. ამჟამად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილავენ კომიტეტში მათი წარმომადგენლის შერჩევის საკუთარ პროცესს.



დაიგეგმოს მართვის კომიტეტთან კოორდინაციის გზით. ეს გულისხმობს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ შეუძლია ითამაშოს თავისი როლი დევნილთა პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების მონიტორინგის პროცესში ისე, რომ არ იყოს ამ პოლიტიკის განხორციელების უშუალო მონაწილე. კერძოდ, შევძლებთ ნეიტრალურობის შენარჩუნებას ამ საკითხთან მიმართებაში.

ამგვარად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, როგორც მართვის კომიტეტის წევრის უპირველეს ფუნქციას არ წარმოადგენს თანამოაზრე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლა (რაც შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, უნდა ყოფილიყო მონაწილე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის უმთავრესი ფუნქცია), თუმცა ეს ნამდვილად უნდა იყოს ერთ-ერთი ფუნქცია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ სჯერა, რომ მისი როლი გაგებულნი უნდა იყოს, როგორც „აქტიური მონიტორი“, რომელიც დააკვირდება მთავრობისა და დონორების ქმედებებს მათი პოლიტიკის დაგეგმვის დროს და ჩაერთვება მაშინ, როცა მიიჩნევს, რომ პროცესი არ მიესადაგება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს.

კვლავ გაურკვეველი რჩება ბევრი საკითხი დევნილთა მიმართ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. მაგალითად, რატომ გადაწყვიტა მთავრობამ დევნილთათვის ქ. ფოთში საცხოვრებელი კორპუსების აშენება? რატომ არ უზრუნველყო დევნილები განსახლების ვაუჩერებით? როგორ მიიღება გადაწყვეტილება იმაზე, თუ რომელი კოლექტიური განსახლების ცენტრი უნდა გარემონტდეს და რომელი არა? როგორ შეატყობინა მთავრობამ დევნილებს ახალ დასახლებებში ელექტროენერჯისა და გაზის ტარიფების გადახდაში ცვლილებების შესახებ? როგორ მოხდა იმ დევნილთა შერჩევა, რომლებიც მიიღებენ 10,000 აშშ დოლარს?

მაშინ, როცა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ძირითადი ნაწილი, აუცილებლობის გამო, ხორციელდება შეზღუდული რაოდენობის ჯგუფების მიერ კონფიდენციალურად, ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებების საჯარო დასაბუთებას. ეს ასევე უნდა შედიოდეს მთავრობის და განსაკუთრებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინტერესებში, რომელთაც ხშირად აკრიტიკებენ საზოგადოების წინაშე არასაკმარისი ანგარიშვალდებულების გამო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ როლი უნდა გულისხმობდეს კომიტეტის მუშაობის მონიტორინგს, იმ საკითხების კომიტეტის სხდომებზე დაყენებას, რომელთა უგულვებელყოფა ხდება (განსაკუთრებით, იმ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის გზით, რომლებიც პირდაპირ მუშაობენ დევნილებთან და რომელთაც უფრო უკეთ ესმით ის შედეგები, რაც მთავრობის პოლიტიკას ექნება), და წარმოადგენდეს ამ პროცესში მთავრობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისადმი ვალდებულების საზომს.



როლი: გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ეს მიიღწევა შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით:

- 1. დევნილთა მიმართ დაღმავალი ანგარიშვალდებულება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება:** როგორ ახდენს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სხვა სამთავრობო უწყებები დევნილებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მათი უფლებებისა და ახალი პოლიტიკის შესახებ? რამდენად ეფექტურია ეს მცდელობები? დევნილებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღება, რატომ მიიღება და რა ზეგავლენას მოახდენს მათზე მთავრობის ახალი პოლიტიკა.
- 2. მონაწილეობა და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღება:** დგამს თუ არა მთავრობა ნაბიჯებს, რათა უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან და, როდესაც ამას აუცილებლობა მოითხოვს, ჩართულნი არიან დაგეგმვის პროცესში? ე.ი. აგრძელებს თუ არა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარებას, რომელიც ზედმიწევნით ასახავს მართვის კომიტეტიდან მოწოდებულ ინფორმაციას? [თუ არა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიიღებს აქტიურ ზომებს, რომ დღის წესრიგში დადგეს ის საკითხები, რომელთა საჯარო განხილვაც ჯერ არ მომხდარა.] როგორ იღებს მთავრობა გადაწყვეტილებას, რომელიც ასახავს ბენეფიციარების ნამდვილ საჭიროებებს?
- 3. სამოქალაქო საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარება.** მაშინ როცა სამთავრობო უწყებების უმთავრეს მოვალეობაში შედის სამოქალაქო საზოგადოებასთან მათი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, პრაქტიკაში ეს ყოველთვის ასე არ ხდება. სწორედ ამ შემთხვევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გაუზიარებს მასალებს უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოებას, მოითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობას მომავალ ან გადაუდებელ საკითხებზე მუშაობაში და საჭიროების მიხედვით წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციათა ინტერესებს მართვის კომიტეტში. ამ მიზნით, ჩვენ ჩავატარებთ სპეციალურ შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის ქ. თბილისში, სადაც განიხილება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მუშაობა, იმაზე დაყრდნობით, თუ როდის იქნება საჭიროება, რომ საკითხების განხილვა მოხდეს ამ ჯგუფის მიერ. და ბოლოს, ჩვენ გაუწევთ მონიტორინგს მთავრობის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებს, ახალი არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო შეხვედრების მექანიზმის ჩათვლით.



ინფორმაციის გაცვლა და აქტიური მონიტორინგი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არ იქნება პასიური მონიტორინგის პროცესში. როდესაც წამოიჭრება საკითხები, განსაკუთრებით, ზემოთჩამოთვლილი მიმართულებების ირგვლივ, ჩვენ მივიღებთ აქტიურ ზომებს პრობლემების გამოსასწორებლად და ყოველთვის მოვითხოვთ მთავრობასთან და დონორებთან თანამშრომლობას, მანამ სანამ მივმართავთ ადვოკატირების უფრო საჯარო და კრიტიკულ ფორმებს.

ჩვენ ასევე მიზნად ვისახავთ, რომ შესაბამისად მოხდეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დევნილების საჭიროებების გათვალისწინება მთავრობის პოლიტიკის შემუშავების პროცესებში. მაგალითად, ადგილობრივ დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შიგნით განხილვების სამომავლო გეგმებსა და ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფების შედგენის შესახებ.

შეძლებისდაგვარად (ე.ი. როდესაც ინფორმაცია არ არის მგრძობიარე), „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გაუზიარებს მართვის კომიტეტიდან მოწოდებულ ინფორმაციას დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ქ. თბილისში და განსაკუთრებით რეგიონებში. ეს მოხდება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ელ-ფოსტის, ტელეფონისა, და როდესაც მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განსახილველი, შეხვედრების მეშვეობით. იმისათვის, რათა მოხდეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უფრო მეტი ინფორმირებულობა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრებების ირგვლივ, ასევე ჩატარდება შეხვედრები დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მართვის კომიტეტის სხდომების წინ, თუ დღის წესრიგში იქნება განსახილველი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

როგორ უნდა მოახდინოთ თქვენი წარდგინება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარსადგენად ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა მართვის კომიტეტში, თქვენ შეგიძლიათ ელ-ფოსტის შეტყობინების გაგზავნა ან დარეკვა ქვიტლინ რაიანთან (ინგლისურად, რუსულად), caitlin@transparency.ge, 899-658-881 ან ნინა ხატისკაცთან (ქართულად, ინგლისურად, რუსულად), nina@transparency.ge, 899-920-600. მიუთითეთ, უჭერთ თუ არა მხარს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინადადებას, რათა მან დაიბრუნოს თავისი ადგილი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა მართვის კომიტეტში.

მხარდაჭერა განსაკუთრებით მისასალმებელია ქ. თბილისში დევნილთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციათა მხრიდან.



თუ არ უჭერთ მხარს ამ იდეას, და თუ გაქვთ რაიმე ალტერნატიული წინადადება, ან გსურთ რომ გაიგოთ უფრო მეტი გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ. ასევე მივესალმებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსადმი“ დევნილთა საკითხებზე ქ. თბილისის გარეთ მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა მხარდაჭერის გამოხატვას.